

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო პრაქტიკა

საქართველოს კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ“

ივნისი, 2006 წელი

1.1. ფოკუს ჯგუფების ანალიზი¹

2006 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ქუთაისში, მცხეთასა და ყვარელში ჩატარა ფოკუს ჯგუფები „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობას იღებდნენ საკრებულოს წევრები, გამგებლები, გამგეობის და პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, იურისტები, მაჟორიტარი დეპუტატები და მათი ბიუროების თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები. თითოეულ შეხვედრას რვიდან თორმეტ მონაწილემდე ესწრებოდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს წინასწარ გადაეგზავნათ კანონპროექტი, მასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები და წერილი, რომელშიც დეტალურად იყო ახსნილი შეხვედრის მიზანი და იმ სავარაუდო საკითხების მონახაზი, რაზეც შეხვედრაზე იქნებოდა საუბარი. ამდენად, თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა, წინასწარ გასცნობოდა კანონპროექტს და ჩამოეყალიბებინა თავისი შედეგა და მოსაზრებები.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები:

დადებითი მხარეები

შემოთავაზებული კანონპროექტი წარმოადგენს სიახლეს მოქმედ კანონმდებლობაში და მიზნად ისახავს, თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებას. ზოგადად, კანონპროექტის კონცეფცია იდეურად გამართლებულია და სამართლებრივად მისაღები, თუმცა კანონპროექტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ზედამხედველობის მეთოდები და საშუალებები კითხვებს ბადებს, რაც პროექტის დახვეწის აუცილებლობისკენ მიუთითებს.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის ერთიანი სისტემის ფორმირებაზე მუშაობის დაწყება და იმავდროულად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის სისტემის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დებულებებთან დაახლოების მცდელობა.

¹ ფოკუს ჯგუფების ანგარიში მხოლოდ მონაწილეთა შეხვედრებს ასახავს და არ წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოსაზრებებს.

პოზიტიურ ასპექტს წარმოადგენს კანონმდებლების მიერ ადგილობრივ თვითმმართველობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის საკითხით განსაკუთრებული დაინტერესება, რაც გამოიხატება აღნიშნული სფეროს ცალკე, დამოუკიდებელი კანონით რეგულირებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტში გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინასწარი კონსულტირების საკითხი. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივ დასკვნას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ასევე პოზიტიური იყო მონაწილეთა დამოკიდებულება სამართლებრივი ზედამხედველობით ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტის კანონსაწინააღმდეგოდ ცნობის და გაუქმების მოთხოვნით 3 დღიან ვადაში სასამართლოში მიმართვასთან და სასამართლოს მიერ ამავე ვადაში აღნიშნული საქმის წარმოებაში მიღების მიმართ.

უარყოფითი მხარეები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს ჰქონდათ შენიშვნები კანონპროექტის იურიდიული დახვეწის საჭიროებასთან დაკავშირებით. მათი აზრით, პროექტი შეიცავს საკმაოდ რთული სიტყვათწყობის მქონე წინადადებებს, რაც, ერთის მხრივ, ძნელად აღსაქმელი იქნება არათუ მოსახლეობის, არამედ თვითმმართველობის მოსამსახურეთა კონტიგენტისათვისაც და მეორეს მხრივ, გამოიწვევს შემადგენელი დებულებების სხვადასხვა სახით ინტერპრეტაციის პრეცედენტებს.

პროექტით გაურკვეველია ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს სტატუსი და ფუნქციური დატვირთვა, ასევე უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი იდენტური ან დაახლოებით მსგავსი ფუნქციების მქონე სხვა სახელწმიფო ორგანოებთან მიმართებაში.

პროექტი შეიცავს წინააღმდეგობებსა და კოლიზიებს. სასამართლო სისტემისა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილებათა სფეროში ადგილი აქვს ფუნქციათა აღრევას და კომპეტენციურ გადაფარვებს.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობის სპეციფიკას, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებაში, შეაჩეროს და სრულიად გააუქმოს კიდევ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გადაწყვეტილება რიგ საკითხებზე, რაც ნეგატიური დატვირთვის მქონე შეიძლება აღმოჩნდეს და გამოიწვიოს ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გადაწყვეტის დროში გაწელვა ან საერთოდ ემათი მოუგვარებლობა.

პროექტს არ ახლავს საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რაც აუცილებელია მსგავსი სახეობის კანონპროექტებისათვის. საფინანსო-ეკონომიკური გათვლების პარალელურად მნიშვნელოვანია ე.წ. „შემდგომი ზემოქმედების ანალიზის“ არსებობაც, რაც განსაზღვრავდა პერსპექტივაში აღნიშნული კანონპროექტის იმპლემენტაციის შედეგად მოსალოდნელ შედეგებს.

კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული სისტემის სისუსტე, მოუმზადებლობა, რაც შექმნის მათ საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევის საშიშროებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა პრევენცია ადგენს ორკვირიან ვადას, რაც მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვნად შეაფერხებს თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურ საქმიანობას. მათი აზრით, აღნიშნული ვადა შემცირებულ უნდა იქნეს 5-7 დღემდე;

დღეგეირებულ უფლებამოსილებათა სფეროში ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებას ახალი ბიუროკრატიული მექანიზმის ჩამოყალიბების წინაპირობად შეიძლება იქცეს.

მიუღებელია დელეგირებულ უფლებამოსილებათა სფეროში ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ.

დამატებითი კითხვები:

1. რა არის ბუნდოვანი და/ან გაუგებარი კანონპროექტში?

- რომელი თანამდებობის პირი ან ორგანო იგულისხმება ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს ტერმინის ქვეშ.
- პროექტში საუბარია ადმინისტრაციული ორგანოს გარკვეულ პასუხისმგებლობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა შელახვისათვის. მონაწილეთა აღნიშნული პუნქტი ზედაპირულია და საჭიროებს დაკონკრეტებას.
- სრულიად ბუნდოვანია, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს საკითხი პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც კანონი იძლევა ორივე ინსტანციით საკითხის პედალირების საშუალებას.

2. ვინ ან რა ორგანო უნდა იგულისხმებოდეს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს ქვეშ?

- მონაწილეთა დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში არაერთგვაროვანი იყო. დასახელებულ იქნა რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, გუბერნია, რწმუნებულის აპარატი. ასევე არ გამოირიცხავენ სრულიად ახალი, უალტერნატივო ორგანოს შექმნას.

3. უნდა ჰქონდეს თუ არა ზედამხედველობის ორგანოს ადგილობრივი თვითმმართველობის აქტების გაუქმების ან შეჩერების უფლება?

- ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს უფლება, გააუქმოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებში შეჭრის მცდელობაა. ზედამხედველობის ორგანოს პრეროგატივა რეალურად უნდა შემოიფარგლებოდეს აქტის დროებით შეჩერების უფლებით, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. რა სახით უნდა ხდებოდეს თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობის შემოწმება/უზრუნველყოფა?

- მხოლოდ რეკომენდაციების სახით.
- მნიშვნელოვანია კვალიფიცირებული იურიდიული სამსახურების არსებობა ადგილობრივ დონეებზე, რაც ხელს შეუწყობს მისაღები გადაწყვეტილებების სამართლებრივ პრესენციას, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, დაიცავს თვითმმართველ ერთეულებს კოლიზიური აქტების მიღებისაგან.

5. როგორ უნდა იყოს დაცული ადგილობრივი თვითმმართველობა საზედამხედველო ორგანოს ან პირის უკანონო ჩარევისაგან?

- ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოსათვის კანონით მკაცრად უნდა იყოს გაწერილი პასუხისმგებლობის ის ზომა, რომელიც დაეკისრება ზედამხედველობის განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა შელახვისათვის.

- მნიშვნელოვანია, კანონში დეტალურად გაიწეროს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილებები და მოხდეს უფლებებისა და მოვალეობების ადეკვატური შესატყვისობა თვითმმართველი ერთეულის დამოუკიდებელ ფუნქციონირებასთან.
- 6. რა ტიპის კომუნიკაცია/თანამშრომლობა უნდა არსებობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს შორის, რათა მოხდეს ადგილებზე ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა?**
- კომპიუტერული სისტემისა და ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფა ეფექტური კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა.
- 7. რა გზებით არის შესაძლებელი საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების უზრუნველყოფა?**
- კანონმდებლობის სრულყოფისა და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო ბაზის თანხვედრით.
- 8. რა საკითხებში უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობა სრულიად დამოუკიდებელი ცენტრალური ხელისუფლებისაგან?**
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონით უკვე გაწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციათა სფერო; არსებული კანონპროექტით ეს უფლებები იზღუდება.
 - სრული დამოუკიდებლობა აუცილებელია ექსკლუზიურ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებათა სფეროში, რომელთა ცალსახად გამიჯვნა უნდა მოხდეს დღევანდელი უფლებამოსილებების საკანონმდებლო წესით გაწერით.
- 9. რა სირთულეები შეიძლება წარმოიშვას განსახილველი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში? რამდენად ადვილი/რთული იქნება მისი პრაქტიკული განხორციელება?**
- ძირითად პრობლემატურ საკითხად რჩება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობა, კომუნიკაციის სახეობის გაურკვევლობა, უმცირესი დრო ადაპტაციისათვის და ზედამხედველობის ორგანოსათვის მინიჭებული გადამეტებული უფლებები.
- 10. კონკრეტულად რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონპროექტის მიღებით?**
- იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო არ იქნება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში და ამ ფორმით იქნება დამოკიდებული ზედამხედველობის ორგანოზე, მას არ ექნება სწრაფი რეაგირების უნარი განსაკუთრებულ შემთხვევებში და ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. შესაბამისად, მოიშლება ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, დადგება მიგრაციის ზრდის საშიშროება.
 - კანონპროექტის არსებული სახით მიღების შემთხვევაში რეალური საფრთხე ექმნება დეცენტრალიზაციის იდეას.
- 11. რითი დაეხმარება აღნიშნული კანონპროექტის მიღება ეფექტური თვითმმართველობის განხორციელებას?**
- იზრდება საკრებულოს პასუხისმგებლობა, ადგილებზე მოხდება სრულყოფილი სამართლებრივი აქტების მიღება.

1.2. კანონპროექტის შესაბამისობა ევროპულ ქარტიასთან აღილობრივი თვითმმართველობის შესახებ

ევროპული ქარტია აღილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 26 ოქტომბერს, (ქარტია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და “საქართველოს კანონის ნორმატიული აქტების შესახებ” მე-19 მუხლით გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა სხვა ნორმატიული აქტების მიმართ) დამოუკიდებლად გამოცალკეებული მე-8 მუხლით არეგულირებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის საკითხს ხელისუფლების აღილობრივ ორგანოთა საქმიანობაზე ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან. ქარტია უშვებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების საშუალებას, მაგრამ ასეთი ზედამხედველობის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ კანონსა და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევა. მნიშვნელოვანია, რომ ქარტია ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებას დელეგირებულ უფლებამოსილებათა სფეროში არსებულ საკითხებზე განსაზღვრავს და აკონკრეტებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის განმახორციელებელ ინსტიტუტებს მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოების სახით.

ქარტიით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებიც. მის თანახმად, მაკონტროლებელი ხელისუფლების ორგანოს ჩარევა პროპორციულად უნდა იყოს იმ ინტერესების მნიშვნელობასთან, რომელთა დაცვაც არის განზრახული. ეს პუნქტი მიზნად ისახავს აღილობრივი თვითმმართველობის დაცვას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევისაგან და მის ეფექტურ რეალიზაციას.

რაც შეეხება კანონპროექტის შესაბამისობის საკითხს ევროპულ ქარტიასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტით ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს ეძლევა საშუალება, მოახდინოს აღილობრივი თვითმმართველობის კონტროლი სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ეგიდით ექსკლუზიურ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებათა სფეროებშიც, როცა კანონპროექტის მე-7 მუხლით ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს ეკისრება ვალდებულება ნორმატიული აქტის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს აქტის კანონსაწინააღმდეგოდ ცნობის და გაუქმების მოთხოვნით.

განსაკუთრებით თვალნათელია ქარტიის ზემოთ აღნიშნულ მუხლთან შეუსაბამობა ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს განუსაზღვრელი უფლებამოსილების კუთხით დელეგირებულ უფლებამოსილებათა სფეროში ზედამხედველობის განხორციელებისას, როცა ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება, არათუ შეაჩეროს აღილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი ერთი თვის ვადით, არამედ ერთი თვის გასვლის შემდეგ კანონპროექტის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გააუქმოს ეს აქტი. ამ შემთხვევაში აღილობრივი თვითმმართველობის ორგანო რჩება დაუცველი და იძულებული ხდება, ნებისმიერ შემთხვევაში დაემორჩილოს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ამ მუხლში ქარტიით გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპი დარღვეულია.

1.3. საერთაშორისო პრაქტიკა აღილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებით

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვის კუთხით საინტერესოა, გავაანალიზოთ ადმინისტრაციული ზედამხედველობის ტიპები აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პრაქტიკის მიხედვით. ქვემოთ მოცემულია პოლონეთის, სერბიის, ხორვატიის, ლატვიის, შვედეთის, საფრანგეთისა და გერმანიის აღილობრივი თვითმმართველობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის მოდელები.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში არ არსებობს ადმინისტრაციული ზედამხედველობის დამოუკიდებლად არსებული მარეგულირებელი კანონი, თუ

საკანონმდებლო აქტი. ადმინისტრაციული ზედამხედველობის საკითხი, უმეტეს შემთხვევებში, რეგულირდება თვითმმართველობის სფეროში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

პოლონეთში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე ზოგად და ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ახორციელებს ქვეყნის პრემიერმინისტრი ე.წ. ვოივოდების (ადმინისტრაციული ოლქების) მეშვეობით, თუმცა კონკრეტული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული აქტის გაუქმების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში შედის. თვითმმართველ ერთეულებს უფლება აქვთ, მიმართონ არა მხოლოდ ადგილობრივ სასამართლოებს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილების გასაუქმებლად დელეგირებულ უფლებამოსილებათა სფეროში, არამედ უფლებამოსილნი არიან, კონკრეტული აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე სარჩელი შეიტანონ პირდაპირ საკონსტიტუციო სასამართლოში.

სარბათში ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებას ადგილობრივ თვითმმართველობებზე ახდენს 2002 წლის 22 თებერვლის კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” შექმნილი ორგანო მუნიციპალური ადმინისტრაცია. აღნიშნული ორგანო ახორციელებს როგორც ადმინისტრაციულ ზედამხედველობას დელეგირებულ უფლებამოსილებათა სფეროში, ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალური ასამბლეების მიერ მიღებული კანონებისა და რეგულაციების იმპლემენტაციას თავის შემდგენლობაში შექმნილი სხვადასხვა მიმართულების დეპარტამენტების მეშვეობით. ამ ორგანოს არა აქვს უფლება, გააუქმოს ან შეაჩეროს მუნიციპალური ასამბლეების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები. მსგავსი პროცედურები ხორციელდება სასამართლოს მეშვეობით.

ხორვატიაში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებრივი მდგომარეობა მკაცრად არის დაცული და ხელშეუვალია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი უფლებამოსილება, გააუქმოს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ სამართლებრივ ზედამხედველობას ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე, მათ არა აქვთ უფლება, თვითნებურად გააუქმონ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებები და ვალდებულნი არიან, მიმართონ სასამართლოს. რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), მათი გაუქმება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებით არის შესაძლებელი და ისიც მხოლოდ კანონთან შეუსაბამობის მოტივით.

ლატვიის კანონმდებლობა განასხვავებს ადგილობრივ თვითმმართველობაზე სამართლებრივი ზედამხედველობის ორ სახეს: სამართლებრივი ზედამხედველობა ზოგადად ადგილობრივ კანონმდებლობაზე და სამართლებრივი ზედამხედველობა კონკრეტულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე. პირველს ახორციელებს სახელწმიფო რეფორმების სპეციალურ დავალებათა სამინისტრო, ხოლო მეორე სახის ზედამხედველობა ხორციელდება სხვადასხვა სექტორული სამინისტროებისა და მათდამი დაქვემდებარებული სააგენტოების მიერ. ადგილობრივი აქტების გაუქმების უფლებამოსილება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. რიგი საკითხების გადაწყვეტა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გზითაც.

შვედეთში ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივ-ადმინისტრაციული ზედამხედველობის რაიმე სპეციფიკური ორგანო არ არსებობს. ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის სახელწმიფო ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს, უფლება აქვთ, ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში გაასაჩივრონ ადგილობრივი ხელისუფლების როგორც გადაწყვეტილება, ასევე მათ მიერ მიღებული ნებისმიერი სამართლებრივი აქტი.

საფრანგეთში ადგილობრივ თვითმმართველობებზე ზედამხედველობას ახორციელებს რეგიონში პრემიერმინისტრისა და მთავრობის მიერ წარგზავნილი პრეფექტი, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი აქტების გაუქმებას სასამართლო ახდენს.

ბერმანიაში, ბავარიის ადგილობრივი თვითმმართველობის აქტის მიხედვით, სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება უფროსი ადმინისტრაციული ინსპექტორების ოფისების მიერ (თვითმმართველობებზე, რომლებიც ადმინისტრაციულ ოლქებს განეკუთვნებიან) და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ (თვითმმართველობებზე, რომლებიც ადმინისტრაციული ოლქების შემადგენლობაში არ შედიან). თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული აქტი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ადმინისტრაციული ზედამხედველობის ზემოთ აღნიშნულ ორგანოებს გააჩნიათ უფლებამოსილება, მიმართონ მერს და აღჭურვონ ის უფლებამოსილებით,

მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ მერი განსაზღვრულ ვადაში არ გამოსცემს შესაბამის აქტს, მაშინ მიმართავენ მის მოადგილეებს. თუ მისმა მოადგილეებმაც უარი განაცხადეს, ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოები გადაწყვეტილებას იღებენ დამოუკიდებლად.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევებში გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების შეჩერებასა და გაუქმებაზე იღებს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო (ან ადმინისტრაციულ საკითხებზე არსებული სასამართლო ან საკონსტიტუციო სასამართლო). რაც შეეხება ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოებს, ცალსახად გამოკვეთილი ერთგვაროვანი პრაქტიკა არ არსებობს, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მიხედვით, ეს უნდა ხორციელდებოდეს მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ.